№ 121

1877—1901

ხუთშაბათი, 7 ივნისი, 1901 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 121

ხუთშაბათი, 7 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩაზე №

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საფარმაციო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის საპკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბევრად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება**

სასახლის ქუჩაზედ, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—40)

**„ივერიის“ რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის ნება-რთვით, სოფ. ჭიათურაში შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა ხარჯით, **არსდება 1901 წ. პირველ ივლისიდგან უფასო**

## კურსები

სამთო ხელობისა იმათთვის, ვისაც ჰსურს პასუხის მგებლობა იკისროს სამთო-სამადნო სამუშაოების რიგიანად და უშიშრად წარმოებისა.

კურსებზედ შესვლის მსურველთ წერილობით განცხადება უნდა გამოუგზავნონ კურსების გამგის ინჟინერის პ. ა. მარკოვსკის სახელობაზედ (სოფ. ჭიათურაში); თან უნდა გამოაყოლონ მოწმობა და სხვა საბუთის ქაღალდები.

კურსებზედ შემსვლელთ უნდა იცოდნენ რუსული ენა და სწორედ წერა და კითხვა რუსულად.

კურსებზედ მიიღებიან 20 წლისაზედ არა უმცირესნი. ამასთან უპირატესობა იმათ მიეცემათ, ვინც სამუშაოებს განაგებს ან შორაპნის შავის ქვის საქმეში მსახურებს.

(3—6.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7 1/2—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი აბი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არგანიტავა.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## სკოლა და პანსიონი

**ა. მამულაიშვილისა**

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13.

(10—35—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ

**ნ. ა. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი, 10—12 საათ.

**ა. მ. მატინოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

**მ. ბ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**ზ. ლ. მარკევიჩი**—საქირურგო—12 1/2—1 1/2 საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეკთაბეკოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ზელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## ახალი ამბავი

*** განსვენებულ კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ 6000 მანეთი შეუწირავთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტისათვის სათავად-აზნაურო სკოლაში ერთის სტიპენდიის დასაარსებლად კ. ი. ზუბალაშვილის სახელზედ.

*** წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოსაცდელ იურიდიულ კომმისიაში ხუთასამდე სტუდენტი იჭერდა ეგზამენს. მათ შორის სამმა ქართველმა გაათავა წელს: ნ. გამრეკელმა, გ. ჩაბრიევმა და ლ. ბახტაძემ. ბახტაძე სახალხო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის გარდაწყვეტილებით ექსტერნად იყო დატოვებული კომმისიის ეგზამენებზე. იურიდიულ ფაკულტეტის ყველა საგნებში გამოცდის შემდეგ, ამ უკანასკნელს სახელმწიფო კომმისიამ პირველი ხარისხის დიპლომი მიუსაჯა.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას პროექტი სავალდებულო კანონებისა თევზის ჭერის საქმის მოსაწესრიგებლად და სთხოვა ამ საგნის გამო თვისი მოსაზრება გამოეთქვა. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სა-

## ფელეტონი

**მგზავრის წერილები რომიდგან**

(დასასრული *)

**XI.**

დღეს, როგორც ვთქვით წინა წერილებში, იტალიელები რომთან ერთად შეადგენენ ერთ მკვიდრად შეკავშირებულ ერს, რომელსაც თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიური და ინტელექტიური ცხოვრება აქვს. რადგან ძნელია ადამიანმა ერთბაშად ღრუბელსავით შესრულოს ყოველი საკუთარი თვისება ხალხის ცხოვრებისა და ერთი კალმის გაკვრით დახატოს იგინი სიტყვით, ამისათვის ამ უკანასკნელ წერილში ჩვენ წარვუდგენთ მკითხველს მხოლოდ ზოგიერთ საზოგადო აზრს იტალიასა და იტალიელებზედ.

პოლიტიკური მდგომარეობა იტალიელ ერისა მკითხველს ნათლად გამოესახება, თუ მოიგონებს წინა წერილებიდგან სამს გამოჩენილ სახელს—გარიბალდისა, კავურისა და ვიქტორ ემანუელისას, რომელნიც წარმოადგენენ მკაფიო სიმბოლოს იტალიელების შეერთებისას ერთ მთავრობის ქვეშ. დღეს თუ ამ მთავრობამ გააძლიერა ხარჯი გარეგან პოლიტიკურ ძლიერების დასაცველად, რასაც სრულიად არა ჰსაჭიროებს იტალიის ერი, ეს უნდა დროებითი და არა საერთო მოვლენად ჩავთვალოთ, რადგან ეგ სენი არსებობს საზოგადოდ მთელ ევროპაში, რომელიც 4 მილიარდზედ მეტს ახმარებს სამხედრო საქმეს.

ეკონომიურ მხრივ იტალიელი ერი უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე კარგში, თუმცა ზოგიერთი სასიხარულო მოვლენასაც შევამჩნევთ. რიცხვი მცხოვრებლებისა მთელს იტალიაში თან-და-თან მატულობს, რაიცა ნიშნავს ერში განმაცხოველებელ ძალის არსებობას. ლევასერის ცნობებით იტალიის მიწა-წყალზედ 1770 წელს ითვლებოდა 15 მილიონი მცხოვრები, ეხლა-კი 30 მილიონზედ მეტია; 1870 წლიდგან რიცხვი მცხოვრებლებისა მთელს იტალიაში აღემატება დაახლოვებით 4 მილიონით. თუმცა უმუშაობის გამო იტალიელები სხვა ქვეყნებში მიდიან დასასახლებლად, მაგალითად, 1893 წელს 800,000 კაცი გარდასახლდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მოვლენა სასარგებლოდ უნდა ჩავთვალოთ იტალიისათვის, რადგან ყოველი წასული კაცი 6 თვის განმავლობაში უგზავნის თავისს ოჯახს 400—600 ლირამდე. საზოგადო გარდასახადი მთელს იტალიაში საშინლად დიდია, ასე რომ რიცხვი წვრილ-მფლობელობისა თან-და-თან მცირდება გაღატაკების გამო. ათ წელიწადში 1873—1882 წლამდე გაიყიდა 64.826 წვრილი მამული გარდასახადის გადახდის შეუძლებლობის გამო, ამათ შორის 32,152 მამული დარჩა მთავრობას. 1886 წელს ნაბრძანები იყო კიდევ გაეყიდნათ ამავე მიზეზის გამო 11737 მამული; რასაკვირველია, დიდრონი კაპიტალისტები ყიდულობენ წვრილ მამულებს თავიანთ ადგილების შესამატებლად.

კაი მოვლენას უნდა მივაწეროთ დეცენტრალიზაცია ადმინისტრაციული და ფინანსიური. იტალიას არა ჰყავს ისეთი ცენტრი ანუ შუაგული, როგორც პარიზია, რომელიც სწოვს ზნეობრივ, გონებრივ და ეკონომიურ ძალას ერისას; თუმცა რომი სატახტო ქალაქია, მაგრამ იგი უნდა ჩაითვალოს როგორც ვაშინგტონი პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ცენტრად, მრეწველობა და სწავლა-განათლება უფრო განვითარებულია სხვა ქალაქებში; დეპუტატებს, ციების გამო, არ მოსწონთ თავიანთი სახლობა რომში საცხოვრებლად. რომში ითვლება 1254 მოსწავლე, ნეაპოლში-კი 4,040 და ტურინში 2,100. უფრო გასაკვირველია იტალიაში ფინანსიური დეცენტრალიზაცია, რომელიც შედეგია საერო ბანკების განვითარებისა. იტალიაში ვერა ნახავთ დიდ ბანკს, რომ თავისუფლად მეფობდეს ფინანსიურ ბაზარზედ. მარტო მილანში ითვლება 705 საერო ბანკი, რომელთაც აქვთ 95 მილიონი ლირა თანხა და 1/2 მილიარდი ლირა გირაო. ამ მოვლენის გამო რიცხვი ჩვეულებრივ ბანკებისა ათ წელიწადში 531-დან შემცირდა 148-მდე. რაც შეეხება დღიურ ნამუშავარ ფასს სამეურნეო, სამოქალაქო და საქარხნო მუშებისას, იგი საშინლად მცირეა: ლომბარდიაში ზოგიერთ დიდრონ ფერმებში სოფლის მუშა ზაფხულობით დღეში იღებს 35 კაპ., საქარხნო და სამოქალაქო მუშების დღიური ფასი 50%-ზედ ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთში და ინგლისში. კიდევ კარგია, რომ გარდასახლება ასალებს გამჭრიახ და მხნე კაცებს, თორემ საშინელი ამბავი დატრიალდებოდა ამ ქვეყანაში.

ინტელექტიურ მხრივ იტალია ძველიდგანვე ცნობილია, როგორც სამშობლო გამოჩენილ კაცებისა; საკმარისია გავიხსენოთ გალილეი, იორდანო ბრუნო, დანტე, პეტრარკი, სინოს, ლეოპარდი, მიქელან-

*) იხ. „ივერია“, № 112.

ბჭომ პროექტი განსახილველად გადასცა განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც ახლო მომავალში თვისი მოხსენება უნდა წარუდგინოს საბჭოს.

*** დღეს, 7 ივნისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექნება კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტს ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა ექსპერტ-მიკოლოგს ბ-ნ სპეშნევს გასინჯოს საბაღოსნო სკოლის ბაღში სიდამპლით დაავადებული ვაზები და უჩვენოს, თუ როგორ შეუდგნენ ძირიანად იმათ დათხრას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში დღეს, 7 ივნისს, სხდომა ექნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: კომისიის წევრის ს. დ. ლისიციანის მოხსენება ქალაქის საპედაგოგიო მუზეუმის დაარსების შესახებ; მოხსენება ტფილისის საპროფესიონალო დედათა ხელოსნო სასწავლებლის გამგისა სასწავლებელში ამ თვის დამლევს ეგზამენების დაწყების შესახებ; ქალაქის გამგეობის მოწერილობა ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ დამტკიცების შესახებ; მცირე კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ და სხვანი. სულ კომისიას განსახილველად აქვს 10 საქმე.

*** ხვალ, 8 ივნისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ზოგიერთ საჩივრების განსახილველად ქალაქის საბჭოს დამფასებელ კომისიის წევრებს.

*** 30 მაისს მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას დედოფალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

*** კავკასიის გზათა ოლქის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ 8000 მან. იქმნას გადადებული იმათ დასაჯილდოვებლად, რომელთა მიწებზედ გაყვანილ იქმნა ბათუმ-არტაანის გზა.

*** ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ნ. ი. თამამშევის მიერ წარდგენილი პროექტი „მუშებისათვის სამუშაოს აღმომჩენ კანტორისა“, რომელიც ამ მოკლე ხანში იქმნება დაარსებული. კანტორას აზრადა აქვს მცირე სასყიდლით მუშებს საჭირო სამუშაო მოუპოვოს ხოლმე.

*** ხვალ, 8 ივნისს, ტფილისის გუბერნატორი ნ. ი. სვეჩინი ტფილისიდგან საზღვარ-გარედ აპირებს წასვლას.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ სასწავლებლის შენობა განთავისუფლებულ იქმნას საერო გადასახადისაგან.

*** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის პროექტი დედათა სიფილიტიურ საავადმყოფოს გადაკეთებისა. ამ საქმეს დაახლოვებით მოუნდება 12,000 მან.

*** ტფილისის საყაზრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს ა. ჯაბადარს ქალაქის გამგეობისათვის განცხადება წარუდგენია, რომელშიაც სთხოვს თანამდებობიდგან განმათავისუფლეთ ამა ივნისის 15-დგანაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის საბჭოს წევრად ფინანსთა სამინისტროდგან, ა. ა. დემბსკის ნაცვლად, რომელიც ციმბირში გადაიყვანეს, დანიშნულ იქმნა ა. ვ. ტრიროგოვი.

*** გაზეთებში თავისს დროზედ უკვე იყო აღნიშნული, რომ ნავთის მწარმოებელმა რილსკიმ და იმისმა მოხელეებმა სისტემატიურად რამდენისამე ხნის განმავლობაში მიჰპარეს 300,000 ფუთამდე ნავთი 60,000 მანეთისა ნავთის მწარმოებელს ფითოევს და ამხ.-საო. პირველად ეს საქმე განუხილავს ბაქოს ოლქის სასამართლოს, (რილსკი საპყრობილეშივე გარდაიცვალა), რომელსაც დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია გარდაცვალებულ რილსკის მოხელეების ლუნევსკისა და ალიხოვისათვის 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო მნაცაკანოვისა და აგაფონოვისათვის რვა-რვა თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრეს ტფილისის სასამართლო პალატაში, სადაც ეს საქმე განხილულ იქმნა გუშინ და გუშინ-წინ. პალატამ მნაცაკანოვის და აგაფონოვის შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, ხოლო ლუნევსკის გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და 2 წლითა და 3 თვით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო ალიხოვს—1 წლის ვადით.

*** ს. საშაბურო (დუშეთის მაზრა). 26 მაისს საშაბუროს მცხოვრებთ კარგი დღე ვერ გაუთენდათ: ნაშუადღევის ოთხი საათი იქმნებოდა სწორედ, რომ აღმოსავლეთით შავი ღრუბელი ამოიმართა და მთლად ამ სოფლის მიდამო დაჰფარა, გატყდა უცბად სეტყვა, რომელიც ბერძნულის თხილის სისხო იყო და საშაბუროს მინდორ-ველი უწყალოდ მორეკა. ამავე დროს თან წვიმას ურევდა. ჩარეკა მიწისა და ფეხის მოსავალი, რომელთაგანაც ზოგიერთი წლეულობით სრულიად აღარ ივარგებს.

სეტყვის ღრუბელმა შემდეგ დასავლეთით მდებარე მეზობელს სოფლებში გაიარა და წამოვიდა ახლა თქეში. ისეთი ნიაღვარი შევარდა სოფელში, რომ წყალს სახლებში ღოგინებითა და იმაგრებდნენ. ერთს მიწურს დარბაზში კიდევაც შევარდა ნიაღვარი და რომ გულკეთილი მეზობლები დროზედ არ მიშველებოდნენ, უბედურება აუცილებელი იყო. თონეში გამოსაცხობად დაკრული პურები სულ ალაოთ აქცია და, სხვათა შორის, ერთს მოსახლეარეს შიო ცოცხალაშვილს ამ დღეს ნიაღვარმა 40 ინდოურის ჭუკი დაუხრჩო.

საშაბუროს ხევში რომ აღარ დაეტივა წყალი, საქართველოს სამხედრო გზაზედ გადავარდა, რომელიც სოფელს გვერდით ჩაუდის და მოგროვილი დამტვრეული ქვა სულ წალეკა, გარდა ამისა, ნიაღვარმა ამ გზის ზოგიერთი ბოგირებიც დააზიანა და დროებით ეტლების მიმოსვლა შეაჩერა.

მეორე დღეს მაღლობ ადგილებზედ დადებული სეტყვა ოთხად კიდევ მოჩანდა. მას აქეთ განუწყვეტლივ სწვიმს ადგილობრივნი მემამულენი ასეთმა ცუდმა ამინდმა დიდად შეაფიქრიანა. მოხუცებულების სიტყვით, საარაგვოზედ ამისთანა დრო არავის ახსოვს. ზარალი ყველაფერს დიდი აქვს.

*** 4 ივნისს, ტფილისის სადგურის გასაფართოებლად მუშაობის დროს გადმოვარდნილა ფიცრები და სამი მუშა დაშავებულა.

*** 4 ივნისს განჯის სადგურში მიმავალ მატარებელში ახტომის დროს ვიღაც უცნობი თათარი მატარებელს ქვეშ მოჰყვა და სასიკვდილოდ დაშავდა.

*** უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გასული მაისის 16-ს გენერალ-ლეიტენანტის ფრეზეს სადგომში გახსნილ იქმნა ყულაბები, რომლითაც აგროვებდნენ შემოწირულებას ტფილისის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებში, და აღმოჩნდა ამ ყულაბებში 33 ეკკლესიიდგან შეგროვილი ფული 604 მან. 89 კაპ. განყოფილების საბჭო გულითად მადლობას უცხადებს: ა. ი. დრბოკლავს, მ. ფ. კლაუსს, ა. დ. კულბერგს, ნ. ფ. მარკოვისას, დ. ვ. ნიკიტინისას, ვ. პ. რუტკოვსკისას, კნ. ეკ. მ. სუმბათაშვილისას, ნ. ნ. ტროფიმოვისას, ა. პ. ფონ-პარკაუს, კნ. დ. რ. ჭავჭავაძეს, კნ. ნ. მ. ჭავჭავაძეს, ე. ა. შევჩენკოს, ა. ა. პავლოვსკის, ს. ა. პაშკევიჩსა და ა. დ. ტირიუტინს, და აგრეთვე ყველა ეკკლესიის წინამძღვრებს, რომელთაც მიიღეს შრომა ამ შემოწირულობათა შეგროვების საქმეში.

*** იგივე საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გასულ აპრილისა და მაისის განმავლობაში ტფილისის სახაზინო თეატრში ჩამოკიდებულ ყულაბით შეგროვილ იქმნა შემოწირულება იმავე მიზნით 126 მან. 60 კაპ., ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში—12 მან. 48 კაპ., წოვიანოვთა საბანკო კანტორაში—4 მან. 49 კ., გრიზენბერგის დამზღვევ სააგენტოში—3 მ. 96 კაპ., გურგენოვის მაღაზიაში 5 მან. 38 კაპ., ივ. მირიმანოვისა—7 მან., ზიბერტისა 1 მ. 20 კ., ბოიახჩევის „ახალ ბაზარში“—8 მ. 21 კ., და სხვ. სულ—641 მან. 56 კაპ. განყოფილების საბჭო ღრმა მადლობას უხდის სუნიტთა და შიიტთა სასულიერო გამგეობათა თავმჯდომარეებს და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ შემოწირულებათა შეგროვების საქმეში.

*** გოგოლის ქუჩაზედ მცხოვრებთ ამ ქუჩის მოკირწყვლა უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის.

*** იშჩერსკის სტანიცის სასწავლებლის საპატიო მზრუნველს მეორე გილდის ვაჭარს გაბრიელ კანჯუხიძეს უმაღლესად უბოძა ოქროს მედალი სტანისლავის ლენტით.

*** უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ იმ მეღვინემ, რომელიც ჰყიდის ღვინოს თავის საცხოვრებელ სახლიდგან-კი არა არამედ დაქირავებულ ღვინის საწყობიდგან, უნდა იხადოს სააქციზო გადასახადიო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ზოგიერთ ადგილზედ გამართულია გადასასვლელი გზები, სადაც სიფრთხილისათვის დადგმულია ბოძები, რუსულად ზედ წარწერით, რომ გამვლელნი მატარებლებს უფრთხილდნენ; რადგანაც რუსული ბევრმა არ იცის, რკინის გზის უფროსის ბრძანებით, იმავე ბოძებზედ ადგილობრივ ენებზედაც უნდა იქნეს ხოლმე განცხადებები დაბეჭდილი.

## წერილი ფოთიდგან

საბჭოს კრება საღამოს 7 1/2 საათზედ დაიწყო. ქალაქის მოურავის ბ-ნის ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით. პირველად წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წარსულის კრების ოქმი. შემდეგ საბჭო მორიგი საგნების განხილვას შეუდგა. ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას საბაჟოს ამკრებ დაწესებულების ქაღალდი, რომელიც იწერებოდა: „რადგანაც უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცებული და შემოღებულია 28 აპრილიდგან 1/2 კაპ. დამატებითი საბაჟო გარდასახადი ყოველ-ნაირ საქონელზედ, რომელიც-კი ფოთის ნავთსადგურიდგან იქნება გატანილი და შემოტანილი, ამისთვის ფოთის საბაჟო დაწესებულება სთხოვს ქალაქის საბჭოს შესცვალოს თვისი დადგენილება დროებითის საბაჟო გარდასახადისა აგურზე 1/15 კაპ., საშენს ხე-ტყეზედ 1/10 კაპ., შეშაზედ 1/4 კაპ. და ყველა საქონელზედ ერთგვარი 1/2 კაპ. დააწესოს გარდასახადი. ამ რიგად ქალაქსაც მეტი შემოსავალი ექმნება და დიდათ არც მოვაჭრეთ დააკლდებათ, ხოლო ბაჟის ამკრებთ შრომა შეუმცირდებათო“. ზემოდ აღნიშნულის ქაღალდის წაკითხვის შემდეგ, ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობამ ეს კითხვა მაშინვე საპორტო და საფინანსო კომისიას გარდასცა განსახილველად, რომელმაც მიიღო-რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მთავრობის მიერ მალე სულ მთლად მოსპობილი იქნება საპორტო გარდასახადი და მის მაგიერად შემოღებული იქნება სახაზინო გარდასახადი სახელმწიფოს ყველა ნავთსადგურებში, დაად-

---

ჯელო, რაფაელი და სხვა... რაღაც უცნაური და უცნობი ინდივიდიალური ნაპერწკალი ტრიალებს ყოველ იტალიელში. ცალკე, თითოეულად, ყოველი იტალიელი გამჭრიახია, ჭკვიანი და გამომგონი—ერთად შეგროვილნი-კი ჰკარგავენ ამ თვისებას ერთმანეთში კამათობის გამო. იგივ თვისება, ვგონებთ, ემჩნევა ჩვენ ერსაც. ეხლანდელ დროში, როგორც სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, ისე მეცნიერებაში იტალიელები არ ჩამორჩნენ ბევრათ სხვა ერებს. პოეზიაში ამ უკანასკნელ ათ წელიწადში გამოიჩინეს თავი ბ-ნებმა მარადომ და მაზინიმ, რომელთა ნიჭი შეიძლება ამაღლდეს წინაპრების მსგავსად, და ქ-ნნი ანდრია და ბოტე-ბინდა, გამოქსავნი ოჯახის ცხოვრებისა. რომანისტებში ცნობილნი არიან ბ-ნნი ემილიო დე მარჩი, ავტორი „Demetrio Pianeli“, ბ-ნი რობერტო კავანიარი მეტყველი გამომხატველი იტალიის სიღარიბისა და ქ-ნი ბრუნო სპერანი აგრეთ ცნობილი თავის რომანით „Numerie sogni“. ისტორიულ პოლიტიკურ ნაწილში გამოჩენილნი არიან თავისის შესანიშნავ შრომითა ბ-ნნი ისიდორე დელ ლუნგო, ნისკო, ბერზიო, მიჯეთი და სხვა... მეცნიერებაში ყველასაგან ცნობილია ლომბროზო, შესანიშნავი მუშაკი, ორიგინალი მოაზრე და მკურნალი, რომელმაც სპეციალურ საგნად აიღო სისხლის სამართალი და განაცხადა, რომ კრიმინალისტებმა შეჰქმნეს კანონები დანაშაულობის დასჯისათვის, თვით დამნაშავე-კი არ შეისწავლესო; რასაკვირველია, დიდი შეცდომაა შექმნა კანონებისა იმ დანაშაულის ასალაგმავად, რომელიც არ არის ცნობილი. ლომბროზოს მოსდევს მარკონი, გამომგონი უმავთულო ტელეგრაფისა, და მრავალნი სხვანი. რაც შეეხება დრო-გამოშვებითს ლიტერატურას, იგიც საკმაოდ განვითარებულია. როგორც წინად ვთქვით, ყოველი მიმართულებისა და დასის ჟურნალ-გაზეთები არსებობს, ქალებსაც აქვთ საკუთარი გაზეთი „La Donna“, ამისათვის არ არის გასაკვირველი, რომ ქალები დიდს მონაწილეობას იღებენ ყოველ საზოგადო მოქმედებაში.

ასეთია დაახლოვებით იტალია, რომი და იტალიელები, რომლებზედაც, ჩვენს გარდა, ბევრს სხვებსაც უწერიათ, რადგან სიძველიდგან, როგორც ქართველები, ისე სხვა ერის შვილნი მოგზაურობდნენ რომში. ბევრს სხვებსაც უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ უნახავთ და გამოუკვლევიათ ეს მხარე მხოლოდ უმთავრეს იტალიაზედ წარმოთქმულ აზრებს გადაჭარბებული ხასიათი ეტყობა. უმეტესნი მნახველნი, აღჭურვილნი ერთგვარი პოლიტიკურ აზრებით, თავისებურ შეხედულებით ცხოვრებაზედ და ზოგიერთ ცრუმორწმუნეობით, სჯიან იტალიელებს თავიანთ წინად დახატულ იდეალისამებრ, სრულიად არა ჰსურთ განიშორონ თავიდგან პირადი შეხედულება და პირადი მისწრაფება, რაიცა უშლით უცხო ქვეყნის აღწერის დროს მარტივს გამოკვლევას იმ მოვლენებისას, რომელნიც შეადგენენ იმ დროის საზოგადო და საერთო ხალხის ცხოვრების ნაწილს. ამისათვის ერთნი ქებასა და დიდებას ასხამენ იტალიას და იტალიელ ერს, მის მშვენიერ ლაჟვარდ ცას, მის შავ თვალ-წარბა ქალებს, მის წმინდა ადგილებს და მის წესწყობილებას; მეორეების მიერ ძაგებასა და კიცხვას კიდევ საზღვარი არ აქვს, ყოველგან უწესრიგობას, ულაზათობას ჰხედავენ, თვით იტალიელებს უწოდებენ ზარმაცებს, გლახებს, ქურდებს, მატყუარებს... როგორ შეიძლება ითქვას, რომ იტალიელები ზარმაცები და მატყუარები არიან, როდესაც თქვენ, მოგზაურობის დროს, ყოველ მინდორში შეგხვდებათ იტალიელი მუშაკი თავისის გუთნით, გაწურული მუშაობის ოფლში, ცარიელ მუცლით და ციებისაგან გამშრალ ტუჩებით. განა ის ხალხი ზარმაცია, რომელიც მთელს ევროპაში და ახალშენებში ასრულებს ყოველგვარ მძიმე მუშაობას იაფ ფასად და რომელმაც შექმნა ამდენი გამოჩენილი კაცი ლიტერატურასა, ხელოვნებასა და მეცნიერებაში? ისევ სჯობიან პლატონის აზრი, რომ ყოველი მხარე შესდგება მდიდრებისა და საწყლებისაგან, დამჩაგვრელებისა და დაჩაგრულებისაგან, ყველას მათგანს თავისი საკუთარის მოქმედების საქციელი აქვთ.

—

ამ გვარად მოკლედ ვისაუბრეთ რომისა, იტალიისა და იტალიელების შესახებ, ვისაუბრეთ ძველ გამქრალ რომაელების ცხოვრებასა და მათ ცივილიზაციაზედ, რომელიც ეკონომიურ, ზნეობრივ და პოლიტიკურ არსებობის პირობების უთანასწოროდ განაწილების გამო იყო ცივილიზაცია მისუსტებისა, ვისაუბრეთ აღმადგენელ და საქრისტიანო საუკუნოებზედ, ვისაუბრებთ იტალიის ბრძოლაზედ ერთობისათვის და მის ეხლანდელ ცხოვრებაზედ, ვისაუბრეთ იმისთვის, რომ გონებრივი და ზნეობრივი აზრების გავრცელება ადამიანთა შორის საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ყოველი განცალკევება ადამიანისა ადამიანისაგან, როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტიური და ზნეობრივი, მავნებლად მიგვაჩნია კაცობრიობისათვის.

გიორგი დეკანოზიშვილი.

განა, საბაჟო დაწესებულების მიერ ნარჩევ გარდასახადის შემოღება უდროვოდა სცნეს და ისევ ძველი გარდასახადი იქმნეს დატოვებული. მცირეოდენის კამათის შემდეგ საბჭო ამ აზრს ერთხმად დასთანხმდა და დაადგინა—საბაჟო გარდასახადი უცვლელად იქმნეს დატოვებული, რადგანაც საპორტო გარდასახადს მალე მთელს რუსეთის იმპერიაში ცვლილება მოელის.

შემდეგ ამისა საბჭომ მოისმინა მოხსენება ქალაქის მოურავისა მისს პეტერბურგში ყოფნის შესახებ. მოურავმა მოახსენა კრებას: მარტის ბოლო რიცხვებში მე პეტერბურგში ვიყავი გაგზავნილი ქალაქის საქმეების შესახებ. უმთავრესი საგანი, რომელიც ჩემს სატახტო ქალაქში ყოფნას ჰსაჭიროებდა, იყო: პირველი, დაცვა ქალაქის ინტერესებისა ახალის საპორტო გარდასახადის შემოღების შესახებ და მეორეც ის, რომ დამეჩქარებინა დამტკიცება ფოთის გამგეობის მიერ შემუშავებულის პროექტისა გემებისათვის შიდა აუზში შემოსაცურავი ადგილის გადიდების შესახებ (удлиненія причальныхъ линій).

პირველ საგნის შესახებ აღძრული შუამდგომლობა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ფ. ა. გერშელმანის მიერ ენერგიულად იქმნა დაცული, მაგრამ, საუბედუროდ, მაინც შეაჩერა ზოგიერთმა გარემოებამ, რადგანაც საჭირო ცნობები ხელთ არა ჰქონდათ; გარდა ამისა, მთავარმართებელი ჩვენს ასეთს შუამდგომლობას უდროვოდ სთვლიდა. მართალია, ეს საქმე დაჩქარებული იქმნა ჩემის პირადის თხოვნითა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის შეოხებით, მაგრამ... მაგარი ის მოხდა, რომ ჩვენი ქაღალდი მაშინ მივიდა პეტერბურგში, როდესაც საგაჭრო საპორტო გარდასახადზედ რჩევა უკვე გათავდა და სახელმწიფო საბჭოშიაც დამტკიცდა. მიუხედავად ამისა, ზემოდ აღნიშნულის საქმის შესახებ კრებაზედ, რომელსაც თავმჯდომარეობდა საფინანსო მინისტრის ამხანაგი ვ. ი. კოვალევსკი, სხვა ქალაქის მოურავებთან ერთად, როგორც, მაგალითად, პეტერბურგისა, ოდესისა, რიგისა და ლიბავისა, დამპირდნენ და დამარწმუნეს კიდეც, რომ ახალი საპორტო მმართველობა ჩვენში შემოღებული არ იქმნება, სანამ ქალაქი ნავთ-სადგურისათვის დაწყებულს სამუშაოს არ გაათავებსო.

რაც შეეხება იმას, რომ შიდა აუზში გემებისათვის შემოსაცურავი ადგილი გადიდდეს, მე თვითონ მქონდა მონაწილეობა წყლითა და ხმელეთით მიმოსვლის კომიტეტის კრებაზედ 17 აპრილს 1901 წელს, როდესაც ფოთის გამგეობის მიერ შემუშავებული გეგმა განიხილეს. ჩვენი გეგმა უცვლელად იქმნა დამტკიცებული როგორც საგიდრავლიკო კომიტეტისა, ისე გზათა მინისტრისაგან, რაიცა გზათა მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრს 25 აპრილს კიდევაც აცნობა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩვენი გეგმა დაამტკიცა და მთავარმართებელს 25 მაისს შეატყობინა.

ქალაქის მოურავმა რომ თავისი მოხსენება გაათავა პეტერბურგში ყოფნის შესახებ, ხმოსანმა ბაჟბეუკ-მელიქოვმა მიჰმართა საბჭოს, რომ მოურავისათვის მადლობა გამოეცხადებინათ და ეს მადლობა ოქმშიაც ჩაეწერათ. საბჭომ წინადადება ერთ-ხმად მიიღო და ქალაქის მოურავს ბ-ნს ნიკოლაძეს შრომისათვის მადლობა გამოუცხადა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ფ. ა. გერშელმანმა უმაღლესი დანიშნულება მიიღო და ჩვენს მხარეს ჰშორდება. რადგანაც ქალაქის საქმეებში იგი მუდამ გვეხმარებოდა და ჩვენს შუამდგომლობას მუდამ გზას აძლევდა, ამისათვის მისი გადაყვანა ფოთისა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს და საბჭომ ასეთის თანაგრძნობისათვის მადლობა გამოუცხადოს და ეს მადლობა თავისს ოქმში ჩასწეროს. საბჭო ამისაც თანახმა გახდა და მადლობის გამოცხადება ერთხმად დაადგინა.

საბჭომ ამის შემდეგ შიდა აუზში გემების მოსადგომ ადგილის გადიდების შესახებ წარდგენილი პირობა განიხილა. ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას: რადგანაც ნავთ-სადგურის შემოსავალი კარები მალე გადაკეთებულ იქნება და შუა ხანდაკთან გემების მისადგომი ადგილიც გაუქმდება, ამისათვის საჭიროა ქალაქმა შიდა აუზში გემებისათვის შემოსაცური ადგილი გაადიდოსო. რომ ეს უკანასკნელი აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენის პორტისათვის, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ გამგეობის მიერ წარდგენილი გეგმა გემების შემოსაცურ ადგილების გადიდებისა ყველა სამინისტროებში დაუყოვნებლივ იქმნა განხილული და დამტკიცებული. ამისათვის, უნდა ვეცადოთ და საქმის განხორციელება არ დავაყოვნოთო. საპორტო და საფინანსო კომისიამ დაადგინა, ეს ახალი სამუშაოც ფოთის პორტის ამშენებელს ინჟინრებს ს. ა. ბუნგესა და ს. ე. პალაშკოვსკის გადასცეს. შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას, რომ საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს ა. ი. მიქაბერიძეს გამგეობის მიერ შემუშავებული გეგმა შიდა აუზის მუშაობისა უკლებლივ წაეკითხა.

„კონდიციის“ წაკითხვის შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობას განზრახვა აქვს ახალი სამუშავარიც იმავე მოიჯარადრეთ გარდასცეს, რადგანაც პირობის ძალით, რომელიც მათთან აქვს ქალაქს შეკრული, ვალდებულნი ვართ იჯარით მათვე მივცეთ ყოველი დამატებითი სამუშავარი. გარდა ამისა, ზემოდ დასახელებულნი მოიჯარადრენი შავს ზღვაზედ პორტის გაკეთების საქმეში საუკეთესო და სანდო კაცებად ითვლებიანო. გარდა ამისა მოუხერხებელია, რომ სხვა მოიჯარადრეს მივცეთ, რადგანაც, სივიწროვისა გამო ორი მოიჯარადრე ერთსა და იმავე დროს მუშაობას ვერ მოახერხებენ და თითონ მთავრობამაც სახელმწიფო სამუშავარი ფოთის ნავთ-სადგურში ამათ გადასცაო.

თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა, გამგეობის მიერ შემუშავებული გეგმა და პირობის წერილი დამტკიცებულ იქმნას და როცა საბჭოს დადგენილება კანონიერს ძალაში შევა, ახალი სამუშავარიც იმავე მოიჯარადრეთ გარდაეცეს, რომელნიც ეხლა აშენებენ ფოთის ნავთ-სადგურს.

ი. იანეთელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Россія“-ში საინტერესო წერილია დაბეჭდილი გლეხთა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსების შესახებ. როგორც ვუწყით, ორის წლის წინად მთავრობამ დაამტკიცა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა ნორმალური წესდება. ამ წესდებით, ახალ საზოგადოებათ სამოქმედოდ მეტად დიდი და ფართო ასპარეზი ეძლევათ. ჩვენ, სწერს გაზეთი, ძალიან ხშირად დიდ საქმეებს ვეპოტინებით, პატარა, მაგრამ ამავე დროს დიდის ნაყოფის მომტან საქმეებს-კი ყურადღებას არ ვაქცევთ. ასეთ სანაყოფიერო საქმეს ეკუთვნის გლეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსება და წარმოება. ბევრმა ინტელიგენტმა, ვინ იცის, არც-კი უწყის არსებობა ახალის ნორმალურ წესდებისა, რომლითაც ძალიან გაადვილებულია გლეხთა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსება. ნება-რთვის აღება ასეთის საზოგადოების დაარსებისათვის გუბერნატორისაგან შეიძლება, წინად-კი ამ გვარ შემთხვევაში საჭირო იყო დამაარსებელთ მინისტრისათვის მიემართად. ახალ შეღავათიან წესებით სამაგალითოდ უსარგებლნიათ ბალტიის ზღვის სანაპირო გუბერნიების მცხოვრებთ. ორის წლის განმავლობაში კურლიანდიის გუბერნიაში დაუარსებიათ 21 გლეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ლიფლიანდიისაში—51, ესტლიანდიისაში—12, სულ სამ გუბერნიაში—84; მთელ დანარჩენ რუსეთში-კი ამავე დროს ასეთი საზოგადოება დაარსებულა მხოლოდ ხუთი: ორი ხერსონისა და თითოც კურსკის, სამარის და იაროსლავის გუბერნიაში.

„თუ რამდენის სარგებლობის მოტანა შეიძლება ამ გლეხთა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსებით, სწერს გაზეთი, ამას თვით ნორმალურ წესდების შინაარსი გვაგებინებს. წესდების მე-2 პარაგრაფით ნება-დართულია: „შესწავლა იმისა, თუ რა მდგომარეობაშია სასოფლო-მეურნეობის ესა თუ ის დარგი; გამოკვლევა ამ დარგთა საჭიროება-მოხოვნილებათა საზოგადოების წევრთა კრებების წყალობით და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საუბრების გამართვით“... ნება დართულია: „სასოფლო-სამეურნეო თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნათა გავრცელება, ამისათვის საჯარო კითხვების გამართვა, დაბეჭდვა და გავრცელება სასარგებლო წიგნებისა... საკუთარი ჟურნალის გამოცემა, სკოლების, წიგნთ-საცავების, მუზეუმის დაარსება“. „საზოგადოებას შეუძლიან შუამდგომლობა იკისროს სოფლის ნაწარმოებთა გასაღების საქმეში. შეუძლიან ამ აზრით დააარსოს საკომისიო ბიუროები, სასოფლო-სამეურნეო იარაღთა საწყობი და სხვანი“.

მოქმედების გაფართოვების შემდეგ ამ გვარ საზოგადოებას შეუძლიან, გუბერნატორის ნებართვით, შეადგინოს სპეციალურ საქმეთა საწარმოებლად კომიტეტები და გამართოს სხვა-და-სხვა ადგილას განყოფილებანი; აგრეთვე დააარსოს ამხანაგობანი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა მოსაყვანად და გასასაღებლად; გამართოს, იარაღის საწყობებს გარდა, თესლეულობისა, სასუქისა და სხვათა საწყობები, რომელთაც ვაჭრობის უფლებისათვის არავითარი გადასახადი არ გამოერთმევათ. საზოგადოებას, თამჯდომარის პასუხის მგებლობით, შეუძლიან უცენზუროდ დაბეჭდოს ისეთი სპეციალური გამოცემანი, რომელთა დაყოვნება საქმეს ავნებს, როგორც, მაგალითად: საზოგადოების სხდომათა ჟურნალებისა, ანგარიშებისა, სა-პასუხო ფურცლებისა, პროგრამებისა სხვა-და-სხვა ცნობების შესაკრებად და სხვა. წევრობა, მცირეწლოვანთა გარდა, შეუძლიან სქესისა და წოდების განურჩევლად ყველას, ვისაც-კი სასოფლო-მეურნეობა აინტერესებს.

„რასაკვირველია, სწერს შემდეგ გაზეთი, წვრილ სამეურნეო საზოგადოებათათვის დაწესებულ ამ ფართო პროგრამასა და მოქმედების განსახორციელებლად, საჭიროა საქმის მოთავეობა ადგილობრივმა ინტელიგენციამ იკისროს. ამერიკაში მიწადმოქმედთა საზოგადოებების კავშირებს მეტად დიდი საზოგადოებრივი და ეკონომიური ძალა აქვთ, ისინი ებრძვიან სინდიკატთა ექსპლოატაციას, აარსებენ მანქანათა საკეთებელ საკუთარ ქარხნებს და სხ. საფრანგეთშიაც სოფლის მეურნეთა წვრილი საზოგადოებანი ერთდებიან და კავშირდებიან; ჩრდილოეთ და სამხრეთ ადგილების საზოგადოებანი ერთმანეთს უცვლიან სოფლის ნაწარმოებებს, სცვლიან, მაგალითად, პურს, ღვინოსა და ხილზედ და სხვ.“. ახალ წესდებით ამგვარი მოქმედება და ასეთ საქმეების გაკეთება შეუძლიანთ ჩვენ საზოგადოებათაც. ასეთ საზოგადოებათა დაარსებასა და მოქმედებას რომ დიდი სარგებლობა მოჰყვება, ეს, გგონებ, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. სხვათა შორის, იმის ნაყოფიერებას და სარგებლობას აქა-იქ უკვე დაარსებულ საზოგადოებათა მოღვაწეობაც გვიმტკიცებს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გარდასახადთა გაწერის დღევანდელი სისტემა რომ შეცვლილი იქმნეს, ამისი ყველა საპოლიტიკო მოღვაწენი თანახმანი არიან, მაგრამ დასობრივის ინტერესებით გატაცებულნი უარს არიან გარდასახადები შემოსავლისა დაკვალად იქმნას გაწერილი. მემარჯვენენი და მემარცხენეთაგან ზოგიერთნი იმ აზრისანი არიან, რომ ცვლილება თანდათანობით იქმნას შეტანილი. ამათს უმთავრესს განზრახვას შეადგენს ის, რომ გარდასახადი მმოძრავს ქონებას შეეწეროს, რომელსაც დღემდის დიდი შეღავათი ჰქონდა მინიჭებული, ხოლო რაც შეეხება პროგრესიულს, შემოსავლისა დაკვალად გაწერილს გარდასახადებს, ამისი-კი წინააღმდეგნი არიან. უკიდურესნი მემარცხენენი კიდევ არა ჰმალავენ, რომ განზრახვა აქვთ შემოსავლისა დაკვალად გაწერილის გარდასახადით სახელმწიფოს საშუალება მისცენ დიდის მწარმოებლებისა და ფულის პატრონების შეძლებით წელი მოიმაგროს, რაც მოჭარბებული სიმსუქნე აქვს, გამოსწოვოს. სოციალ-დემოკრატები და რადიკალები კიდევ ამასაც არა ჰკმარობენ და თხოულობენ, რომ სხვილი ფულის პატრონების შეძლებას აღკრძალვა დაადონ. მთავრობას ჰსურს ამ წელს გარდასახადთა ცვლილებას სრულიად თავი დაანებოს, მაგრამ პალატას განზრახვა აქვს არსებულის ხმის უმეტესობით ისარგებლოს და დაუყოვნებლივ შემოსავლისა დაკვალად გაწერილ გარდასახადის შემოღებას შეუდგეს. დეპუტატს კლოდსა და მისს მომხრეებს კიდევ უნდათ, რომ საადგილმამულო გარდასახადი ამ ხანადვე იქმნას გაუქმებული, გაუქმებულ იქმნას აგრეთვე გარდასახადი სახლებისა, ფანჯრებისა და პატენტებისა, ხოლო მათ მაგივრად პროგრესიული და შემოსავლის დაკვალად გაწერილი გარდასახადი იქმნას შემოღებული. დეპუტატი მერლუ და მისნი ამხანაგნი კიდევ ურჩევენ, რომ არსებული გარდასახადები დროებით ისევ დატოვებულ იქმნან და საცდელად დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას პირდაპირი შემოსავლისა დაკვალად გაწერილი გარდასახადი, რომელსაც სახელად „სტატისტიკო“ გარდასახადი ეწოდება. გარდასახადი სტატისტიკურს ცნობებზედ იქმნება დამყარებული და საზოგადოდ დადგენამდე სულ მცირედი იქმნება. როგორც იუწყებიან, მთავრობა თურმე თანახმაა ასეთი სტატისტიკო გარდასახადი იქმნას შემოღებული.

**ავსტრ-უნგრეთი.** პრაგაში წასვლამდე იმპერატორმა ფრანცმა იოსებმა ბოსნიელთა დეპუტატები ინახულა და მოისმინა ამათი თხოვნა, რომ ბოსნიასა და გერცოგოვინაში საეკლესიო და სასკოლო ავტონომია (თვით-მმართველობა) იქმნეს შემოღებული, რომელიც დიდი ხანია, ამ ორს მხარეს აღთქმული აქვს. სამახსოვრო თხოვნაში, სხვათა შორის, მოხსენებულია აგრეთვე საჩივარი იმისი, რომ კათოლიკობას ავრცელებენ როგორც მაჰმადიან-სერბიელთა, ისრე მართლ-მადიდებელ სერბიელთა შორის და საადმინისტრაციო მოხელენიც მეტად თავისნებად იქცევიანო.

**ჩინეთი.** „Frankf. Zeitg.“ შანხაელი კორესპონდენტი აი რას გადმოგვცემს ერთის ჩინელი მანდარინის ნალაპარაკევიდგან, რომელიც სინანფუდგან ეს არის დაბრუნებულა:

„ქვეყნის მმართვა-გამგეობა წინანდებურად ისევ ქვრივი იმპერატრიცას და მის მომხრე კონსერვატორთა ხელშია და იმპერატორი თავისის მეგობრებით სახელმწიფო საქმეებს სრულიად დაშორებულია ისრევე, როგორც ეს 1898 წ. იყო სასახლეში მომხდარ რევოლიუციის შემდეგ. იმპერატორი სრულიად გაცრეცილი და გადაფითრებულია. მთლად ჩამომდნარი, სახეზედ მწუხარება და ნაღველი აქვს აღბეჭდილი. ქვრივი იმპერატრიცა-კი პირიქით მხნეთა და კმაყოფილად გამოიყურება, ასე რომ მნახველი 40 წლისაზედ უფროსათ არ ჩასთვლის, თუმცა სამოცს წელიწადს აღარა უკლია-რა. იმპერატორის კანონიერი მემკვიდრე, პრინცი პუჩუნიც სანუგეშოსა და საიმედოს არრას წარმოადგენს: ბრიყვი და გაუნათლებელი, მოუხეშავის მიხვრა-მოხვრისა და მოქმედებისა, იგი სულ მუდამ საძაგლად არის ჩაცმული და ვერავინ შეატყობს, თუ უზარმაზარის ჩინეთის მომავალი გვირგვინოსანი მბრძანებელიო“.

## დამაკვირდი

დღევანდელი დღე გუშინდელის შეგირდია.

***

დროთა საწყაო—საქმეა.

ჰიპელი.

***

უქმობა უფრო ძალიან ჰღალავს ადამიანს, ვიდრე გარჯა.

ვოვენარგი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ერთი უცნაური დაწესებულება, რომელსაც სახელად ჰქვიან „სამკურნალო ხორბლისათვის“. ერთის გაზეთის თანამშრომელი აღგვიწერს ამ სამკურნალოს. გარედგან იგი უზარ-მაზარ ელევატორსა ჰგავს თურმე. შიგნით დიდი თავისუფალი ადგილია ხორბლის გასაშრობად. დაეტევა იქ 2000 ვეგტოლიტრი ხორბალი. ხორბალს ჰყრიან რკინის საცრებში, სა აც გამთბარ ჰაერის გავლენის ქვეშ ამყოფებენ. ვენტილიაცია და გათბობა ანთავისუფლებს ხორბალს ყოველ გვარ უსუფთაობისაგან და ამასთან აქრობს ობს, რომელიც სველ ხორბალს ადვილად უჩნდება ხოლმე. ძალიან ჭუჭყიანი ხორბალი განსაკუთრებულ სადგომში მიაქვთ, სადაც სხვა-და-სხვა მანქანებითა და მოწყობილობებით სამაგალითოდა სწმენდავენ თურმე. „სამკურნალოში“ ხორბლის წმენდის დროს საოცარი მტვერი დგება, რის გამო იქ მოსამსახურეებს განსაკუთრებული ტანისამოსი აცვიათ და ნიღაბები აქვთ აფარებული. თუ რამდენად საჭიროა ესეთი დაწესებულება ამერიკელებმა სასტატისტიკო ციფრებით დაამტკიცეს: ყოველ წელიწადს ფერმერებს აუარებელი ხორბალი უფუჭდებათ ობისაგან; ამას გარდა გაუწმენდავს და უსუფთაო ხორბალს დღემდე მეტად ნაკლებ ფასადა ჰყიდდნენ თურმე.

* * *

საფრანგეთში მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს; ეს ამბავი, როგორც უთუოდ ყველამ უწყის, არ ახალია ძველია. ახალი ისაა მხოლოდ, რომ ისე თვე არ გავა, ვინმემ ახალ-ახალი ციფრები არ დაბეჭდოს და საბუთები არ მოიყვანოს მცხოვრებთა რიცხვის დაკლებისა. ამას წინად „საერო სამიწად-მოქმედო საზოგადოებაში“ დეპუტატს შევალიეს წაუკითხნია მოხსენება, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ სხვა კლასებთან ერთად სოფლის მცხოვრებთა რიცხვიც მცირდებაო. 1846 წლიდგან სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა 15 პროცენტით შემცირდა. ჯერ ისევ 1848 წელს სოფლელნი მთლად მცხოვრებთა 75 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო 1896 წელს—60 პროც. წელს მომხდარი სახალხო აღწერა ამტკიცებს, რომ 1896 წლიდგან საქმე უფრო ცუდად მიდის. სოფლის მცხოვრებთა შემცირების მიზეზად ასახელებენ დაბადებულთა რიცხვის შეცოტავებას და გადასახლებულთა რიცხვის გამრავლებას.

* * *

ვენიდგან საოცარ ამბავს ატყობინებენ ერთ რუსულ გაზეთს. ადგილობრივ სასამართლოს განუხილავს ერთის გლეხისა და იმის ცოლის საქმე. ამ ცოლ-ქმარს თურმე 12 წლის ღვიძლი ქალი მოუკლავთ და მთელი ერთი კვირა იმისი ხორცი უჭამიათ.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 ივნისი.

**პეტერბურგი.** 5 ივნისის ბიულეტენი. ავგუსტოესის მშობიარესა და მაღალ ახლად შობილის ანასტასიას ჯანმრთელობა კარგად არის.

ორს საათზედ გატჩინოდგან პეტერგოფს მობრძანდნენ ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული.

**ლონდონი.** კიტჩენერს ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ ბოლონდელ მოხსენების შემდეგ მოუკლავთ 24 ბური, დაუჭრიათ 14, ტყვედ წაუყვანიათ 265 კაცი; დავლათ დარჩენიათ 137 თოფი, მრავალი საომარი მასალა, 198 ურემი, 1,500 ცხენი და 3,000 სული საქონელი. აქ არ არის მოხსენებული ის ზარალი, რომელიც ბურებს ელლიოტთან მიუყენებიათ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ კაპშტადტიდგან, რომ დევეტს მხოლოდ ამ ბოლოს დროს დაუყოლიებია ბურები მისის უფროსობის ქვეშ შემოკრებილიყვნენ, მაგრამ მაშინვე ინგლისელები დაჰსხმიან თავსა და გაუფანტნიათ.

**ბერლინი.** გერმანიის საიმპერიო ბანკმა დისკონტი 4-დგან $3^1/_2$% დასწია.

**ლონდონი.** შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნეს: „როგორც ბოლონდელ შეტაკებიდგანა სჩანს, შეპერის რაზმის ერთს ნაწილს 31 მაისს მურრანისბურგი აუღია და მაღაზიები გაუძარცვია. 150 ბური კიდევ, მარიცის უფროსობით, ბრიტანიის დამზვერავს 29 ჯარის-კაცს გარს შემორტყმია; ამათგან ორი მოუკლავთ, ორი დაუჭრიათ, ხოლო დანარჩენნი ტყვეთ წაუყვანიათ. კაკამარის ოლქში უცბად 200 აჯანყებული გაჩნდა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაეწიეს. ამ ჟამად სულ 19,242 ბურია ტყვედ წაყვანილი.

**შანხაი.** ჩინელების ჩვეულებით, იუანშიკაიმ სამის წლით სამსახურს თავი უნდა დაანებოს, რადგანაც დედა მოუკვდა.

**კაპშტადტი.** მორიცმა კალვინიასთან ინგლისის დამზვერი რაზმი ტყვეთ წაიყვანა.

**აუსზიგი.** გემს „გაბსბურგზედ“ გამართულ სადილისა და ილლიუმინაციის შემდეგ საღამოს 10 საათზედ იმპერატორი მინისტრ-პრეზიდენტის თანახლებით ვენაში წაბრძანდა. ვოკზალიდგან დიდის ამბით გააცილეს. ქალაქის მოურავსა და უფროსს იმპერატორმა სრული თავისი კმაყოფილება განუცხადა და მადლობა გარდაუხადა, რომ ასრეთის სიყვარულით მიიღეს და რამდენიმე დღე ესრე კარგად გაატარებინეს.

**კრონშტადტი.** ორჯერ შეეცადნენ, რომ ძლიერი ზანდრი ვერპულიდგან განედევნათ, სადაც იგი ზანაკათა სდგას, მაგრამ ვერრას გახდნენ გარდა იმისა, რომ რამდენიმე კაცი ტყვეთ წაიყვანეს და რამდენიმე სული საქონელი წაართვეს. ბრძოლაში პოლკოვნიკმა გრენფელმა, მაკმიკვინგმა, ვილსონმა და კოლენბრანდერმა მიიღეს მონაწილეობა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“, ზოგიერთის გაზეთების მიერ გავრცელებულს ცნობას იმის შესახებ, ვითომ ფინანსთა მინისტრს მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეეტანოს შაქრის პრემიები ან სრულიად გაუქმებული იქმნეს, ან არადა შემცირებულიო, ყოველგვარს საფუძველს მოკლებულადა სთვლის. „მინისტრთა საბჭო წინანდებურადვე იმ აზრისაა, რომ შაქარზედ არსებულ პრემიების შესახებ აღძრულის კითხვის გარდასაწყვეტად საჭიროა უთუოდ სახეში იქონიონ ის მდგომარეობა, რომელშიაც საფრანგეთის შაქრის მწარმოებელნი არიან ჩაყენებულნიო, —სწერს „ჰავასის სააგენტო“.

**პეკინი.** სამხედრო საზღაურის რაოდენობისა და ამ საზღაურის ხვედრ 4% სარგებლის შესახებ სახელმწიფოთა ელჩები თითქმის შეთანხმდნენ, მხოლოდ იაპონია აბრკოლებს ცოტად, რადგან 5% ნაკლებ ფულის გაცემა არ შეუძლიან. ელჩების უმეტესობას ისა სურს, რომ ეს საკითხი საკეთილოდ გარდასწყდეს. ინგლისის წარმომადგენელმა როკგულმა თანხმობა განაცხადა, რომ საბაჟო გარდასახადს 5% მოემატოს, თუ რომ ჩინეთმა თანხმობა განაცხადა მდინარე იანცზესი და პეიხოს კალაპოტი გააგანიეროს, გასწმინდოს და საბაჟო გარდასახადში ცვლილება შეიტანოს. ელჩები ნამდვილად დაიმედებულები არიან, რომ უცხოელი ჯარები, გარდა საელჩოთა მოდარაჯე ჯარისა, აგვისტოს დამლევამდე უთუოდ წავლენ პეკინიდგანა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში, ელისეის სასახლეში ლუბემ დღეს ბრძანებას ხელი მოაწერა, რომ რევუალი ალჟირის გენერალ-გუბერნატორად არის დანიშნული. დელკასემ დაამტკიცა, რომ ჩინეთის მიერ საზღაურის გარდახდის შესახებ პეკინში მყოფი ელჩები ერთურთ შორის უკვე შეთანხმდნენ.

**პრაგა.** იმპერატორის ბრძანებაში გუბერნატორს მადლობა აქვს გამოცხადებული, რომ ჩეხიის ორთავე ერმა ასეთი დიდი ერთგულობა და მორჩილება განუცხადა. შემდეგ იმედია გამოთქმული, რომ სანატრელი ეროვნული მშვიდობიანობა, რომლისადმიც, ორის ერის დაახლოვებით, გზა გახსნილია, ქვეყანას მალე ეღირსება.

**კალი.** დიდის მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადებისა გამო აქ მდგომი სამხედრო გემები შუადღისას ბაირაღებით იქმნა შემკული და ზარბაზანი 21-ჯერ დასცალეს.

**პარიჟი.** ადგილობრივს რუსეთის ელჩს დელკასსემ მეორედ გაუწია დარბაზობა. ელჩის ჯანმრთელობა თან-და-თან უმჯობესდება.

**სარატოვი.** ძველ-თესლები და ახალ-თესლები ცუდს მდგომარეობაშია.

**კიევი.** გზათა მინისტრი გომელიდგან გემით მოვიდა და უმთავრესი ნავთ-სადგური დაათვალიერა. ნაშუადღევის 3 საათზედ ეკატერინოსლავში წავიდა.

დიდის სიცხეებისა და გვალვის შემდეგ წვიმები მოვიდა. მცენარეულობა გამოცოცხლდა. ნათესებს წვიმა ბევრსა შველის. გუბერნიის თითქმის ყველა მხრიდგან ამბავი მოდის, რომ წვიმებია. პურების საქმე ცუდს მდგომარეობაშია.

6 ივნისი

**პეტერბურგი.** მოსწავლეთა ახალგაზრდობის საშეღავათოდ ხელმწიფე იმპერატორმა 5 ივნისს 1901 წ. მოწყალება მიიღო და უმაღლესად ჰბრძანა: 1) საიმპერატორო უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებიც არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის იქმნენ გამორიცხულნი და ამ ჟამად სამხედრო ბეგარას იხდიან, როგორც სასჯელს, მაგრამ ოჯახურის მდგომარეობით 1-ლის ხარისხის შეღავათი ეძლევათ ან-და ისეთი ნაკლი აქვთ სავალდებულო სამსახურიდგან ახლავე განთავისუფლებულ იქმნენ; 2) ყველა დანარჩენს სტუდენტებს, რომლებიც-კი ამ ჟამად იხდიან სამხედრო ბეგარას, როგორც სასჯელს, აღნიშნული ბეგრის მოხდა, სამსახურის ვადის აღუნიშვნელად სრულის უფლებებით აღედგინოთ; 3) ყველა სტუდენტებს, რომლებიც-კი ახლა იხდიან სამხედრო ბეგარას, როგორც სასჯელს, სამსახურის ვადა იმ თვის პირველ რიცხვიდგან ჩაეთვალოთ, რომელიც მათ სამსახურში შესვლას მოჰყვება.

**პეტერბურგი.** რადგანაც ამ ბოლო დროს შაქრის ფასმა ჩვეულებრივს 4 მან., 55 კაპ. გადააჭარბა, ფინანსთა მინისტრმა საჭიროდა სცნო თავისუფალ საგზლიდგან შიდა ბაზარში გასასყიდად გამოტანილი იქმნეს ერთი მილიონი ხუთასი-ათასი ფუთი შაქარი და ხელშეუხებელ საგზლიდგან კიდევ ხუთასი ათასი ფუთი და ეს ორი მილიონი ფუთი თავისუფალს შაქარს მიეწეროს.

შავის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს, რომ, გარდა პორტ-საიდისა, სუეცის არხისა და სუეცისა. მთელი ეგვიპტე შავის ჭირისა გამო საშიშრად არის ცნობილი.

**არხანგელსკი.** ახალ თესლებს კარგი პირი უჩანს. თევზის ფასი კლებულობს.

**პარიჟი.** პალატამ შეიწყნარა, რომ შრომისათვის გამოუსადეგარ მუშათა უზრუნველ საყოფელად შედგენილის პროექტის ცალკე მუხლები ახლავე განხილულ იქმნენ. პროექტის ცალკე მუხლებათ განხილვამდე ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც პროექტის საფუძველს იცავდა და შენიშნა, რომ ახალი კანონი დანარჩენ შემოსავალზეა დამყარებული და ახალის გარდასახადების გაწერვას არ მოითხოვს.

**იოკაგამა** მოკპოში (კარეაში) მყოფი იაპონელი ელჩი იუწყება, რომ ამ წინაზედ კველპარტში მომხდარი უწესოებანი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩაიდინეს, რომლის დროსაც 500 ადგილობრივი მცხოვრები იქმნა მოკლულიო. იაპონიის და საფრანგეთის კრეისერები ჯერ ისევ კველპტარში არიან.

**კონსტანტინეპოლი.** ავსტროუნგრეთის ელჩი კალიჩე გუშინ, სულთანმა ინახულა; იმპერატორის ფრანც-იოსების მინდობილობით ელჩმა სულთანს მადლობა გარდაუხადა, რომ ეფესში სიძველეთა მოთხრის ნება დართო და აქ ნაპოვნი ნივთები ავსტრიას დაუთმო, როგორც საჩუქარი და ძღვენი. აღნიშნულის მადლობისა გამო ორთავე ხელმწიფემ ერთურთით შორის მეგობრული დამოკიდებულება აღადგინეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ჯოზეფი კითხულობს, სცნო თუ არა გერმანიამ ინგლის-გერმანელთა შეთანხმებიდგან ინგლისის მთავრობის აზრი, რომ მას უფლება ეძლევა იანცზეს ველზედ იგივე უფლებანი და შეღავათი მოითხოვოს როგორიც ინგლისსა აქვს. რაც-კი რაც-კი რკინის გზების გაყვანას შეეხება, თუ არაო. კრანბორნმა უპასუხა ამაზედ, რომ, ინგლის-გერმანელთა შეთანხმებით, ვაჭრობა და ყოველგვარი სხვა ნივთიერი წარმოება ჩინეთის ნაპირებზედ და მდინარეებზედ მდებარე ნავთ-სადგურებში ყველგან თავისუფალია, სადაც კი ორსავე მთავრობას შეუძლიან თავის გავლენა იქონიოსო.

მესამედ წაკითხვის დროს საზოგადოებათა პალატამ მიიღო პროექტი, რომ სამეფო სახლობას ფული დაენიშნოს.

**მოლტენო.** როგორც ბოლონდელ ცნობებიდგანა სჩანს, კაპის ახალშენში ბურებს 1,800 კაცი თურმე ჰყავთ შეიარაღებული, რომლებიც რვა ცალკ-ცალკე რაზმათ არიან დაყოფილნი, თვითოში 60-დგან 300 კაცამდე. კრაუცინგერმა და ფუზემ პროკლამაციები გამოაკრეს, რომლებითაც აცხადებენ, რომ თანახმად ამ ოცის თვის წინად მათ მიერ მიღებულის მინდობილების, რომ კაპის ახალშენის ჩრდილო პროვინციები ორანჟეს რესპუბლიკისათვის შეეერთებინათ, —ყველა, ვინც-კი ინგლისელებს ამბავს მიუტანს ბურების რომელი რაზმი სად იმყოფება, ან 500 გირვანქა სტერლინგით იქმნება დაჯარიმებული, ან-და, თუ რომ შეძლება არ ექნება, დაეკითხება ბურების რაზმს სამის თვის განმავლობაში ფეხით უკანა სდიოს. სამხედრო წრეებში ის აზრი ტრიალებს ყოველგან, რომ, რადგანაც თვითონ ახალშენში ცხენების რიცხვი სწრაფად კლებულობს, გარედგან შემოსაყვან ცხენების რიცხვს უნდა მოაკლდეს. მტერს ახალი მეომრები ემატებიან, მაგრამ ძალიან მცირედად.

**ბუქარესტი.** აქ არა იციან-რა იმის შესახებ, ვითომ მეფეს კარლოსს განზრახვა ჰქონდეს ათინაში წავიდეს. არც არასფერი რუმინიის ოფიციალურმა წრეებმა იციან იმის შესახებ, რომ საბერძნეთის მეფეს ბუქარესტში მოსვლა ჰქონდეს განზრახული.

**კანეია.** მთავარმა კონსულებმა აუწყეს მეფის ძეს გიორგის, რომ სახელმწიფოებს გარდაწყვეტილი აქვთ კუნძულის კრიტოსის სტატუს ქვო დაიცვან.

**კუქსგაფენი.** აქ მოვიდა იმპერატორი, რომ გემების სანიმუშო ცურვაში მონაწილეობა მიიღოს. სიმაგრეებიდგანა და ნავთ-სადგურიდგან დიდის მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადებისა გამო ზარბაზნები დასცალეს.

## შემოწირულება

განსვენებულის სახატით წევრის გ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთაგან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე გამგე კომიტეტმა მიიღო ექვსასი თუმანი (6000 მ.) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ერთის სტიპენდიის დასაარსებლად გ. ი. ზუბალაშვილის სახელზე; რისთვისაც გამგე კომიტეტი უგულითადეს მადლობას უძღვნის შემწირველთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ტფილისის მოქალაქეს ალექსანდრე ელიზბარის ძეს ბ. გუნდიაშვილს, რომელმაც წარსულს წელს ნივთიერი დახმარება აღმომიჩინა და აგრეთვე შემდეგისათვისაც დახმარებას დამპირდა.

დორპატელი სტუდ. თ. ცინცაძე.